ჩემპიონობის კანდიდატმა წაიფორხილა

ალმა-ატა. ცენტრალური სტადიონი. 26 ოქტომბერი.

“კაირატი” (ალმა-ატა) - “დინამო” (თბილისი) 0:0.

“კაირატი”: კოსენკოვი, სტულოვი, სტეპანოვი, ფედოტოვი, კამინსკი, ოსტროუშკო, აბაევი (აბგოლცი), კუზნეცოვი, სეგიზბაევი, ჩენცოვი, მალცევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი (პეტრიაშვილი), ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

მსაჯი: ვ. ხოდინი (მინსკი).

გუშინდელი მატჩის წინ ორივე გუნდი უჩვეულოდ რთულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ერთის მხრივ, თბილისის “დინამო” - ჩემპიონის ტიტულის რეალური პრეტენდენტი და, მეორეს მხრივ - ალმა-ატის “კაირატი” - სახიფათო ზონაში მყოფი გუნდი, “ა” კლასის მეორე ჯგუფში გადასვლის კანდიდატი.

გასაგებია, რატომ იბრძოდა ასე თავდაუზოგავად, ასეთი ენერგიითა და გულმოდგინებით “კაირატი”. მას 3 თამაში აქვს დარჩენილი თადარიგში და მათი წარმატებით დამთავრების შემთხვევაში გუნდს საიმედო პერსპექტივები ეხსნება უძლიერეს ლიგაში დასარჩენად.

მატჩის მსვლელობაში სერიოზული კორექტივები შეიტანა ამინდმა. როცა ლაპარაკია წვიმასა და ქარზე, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ალმა-ატაში ამ დღეს გადაუღებლად თოვდა და მინდორი სათხილამურო ასპარეზს უფრო ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთისას. ასეთი პირობები მასპინძელთათვის, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ხელსაყრელია. “კაირატი” არ მიეკუთვნება ტექნიკური გუნდების კატეგორიას, თბილისელებს კი თავიანთი დიდი უპირატესობა ტექნიკასა და სისწრაფეში თოვლზე “გაუცურდათ”. ამრიგად, მეტოქეთა ძალები გათანაბრდა...

პირდაპირ უნდა ითქვას, დინამოელებს არ გამოუვიდათ თავიანთი ნამდვილი თამაში. ისინი შორს იყვნენ იმ ფორმისაგან, რომელიც სულ ახლახანს აჩვენეს მოსკოვის “ტორპედოსთან”. ალმა-ატის ფეხბურთელებმა თავიდანვე შეძლეს ტერიტორიული და “სათამაშო” უპირატესობის მოპოვება და შესვენებამდე “დინამოს” მცველებსა და კოტრიკაძეს ძალიან დიდი დატვირთვის გადატანა მოუხდათ. მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეეძლოთ თბილისელებს წარმატების მოპოვება, როცა ზეინკლიშვილმა შორი მანძილიდან ძელს მოახვედრა ბურთი.

ერთგვარად გათანაბრდა ბრძოლა მეორე ტაიმში, მაგრამ როცა მე-60 წუთზე მსაჯმა ვ. ხოდინმა კატეგორიულად მოითხოვა ცხოვრებოვის გასვლა მინდვრიდან მისი სეგიზბაევთან შეტაკების შემდეგ, თბილისელთა მდგომარეობა უაღრესად გართულდა. საჭირო შეიქნა დათუნაშვილის შეცვლა დაცვის მოთამაშით - პეტრიაშვილით. ასეთ ვითარებაში მატჩის მოგება თითქმის შეუძლებელ საქმედ იქცა.

განსაკუთრებით სახიფათოდ უტევდა “კაირატი” ბოლო წუთებში და კოტრიკაძემ უაღრესად ძნელი ბურთები აიღო ჩენცოვისა და მალცევისაგან.

90 წუთი გავიდა. თბილისის “დინამომ” დაკარგა ის ქულა, რომელიც მას “ოქროს თადარიგში” ჰქონდა მოსკოვის ტორპედოელებთან.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგეს თბილისელებმა - 2:0.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

“ლელო”, 27 ოქტომბერი, 1964 წ.